



სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი

პროფესიული პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი,

აქედან:

24,8 კრედიტი (620 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 295: დამოუკიდებელი - 237, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 88);

35,2 კრედიტი (880 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი -880).

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი, რომელსაც შეუძლია: ლოჯისტიკური პრობლემების გადაჭრის, ლოჯისტიკური პროცესების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს ლოჯისტიკური სტრატეგიები წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოთა საფუძველზე.

უზრუნველყოს ტერმინალურ კომპლექსებში და ლოჯისტიკურ ცენტრებში ტექნოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება პირადი ბპასუხისმგებლობის ქვეშ.

ამყარებს ოპერატიულ კავშირებს ტვირთგამ-გზავნებთან, ტვირთმიმღებებთან და ლოჯისტიკურ პარტნიორებთან აწარმოებს ლოჯისტიკურ ცენტრებში მიმდინარე პროცესები და გადაზიდვითი პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას;

უზრუნველყოფს ლოჯისტიკურ ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას; ხელმძღვანელობს და აწესრიგებს სატრანსპორტო და ტექნოლოგიური მოწყობილობების პარკის ტექნიკური და კომერციული დათვალიერების ოპერაციების მიმდინარეობას.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სფეროში ევროკავშირში, დსთ-ში ყველა სახის ტრანსპორტის ფუნქციონირების სფეროში და საქართველოში ფაქტობრივ გარემოებებში, სატრანსპორტო ლოჯისტიკაში არსებულ გამოკვლევებსა და ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებში მიღებულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის მსოფლიოში აღიარებულ ზოგად შესაძლებლობებს.</p> <p>სატრანსპორტო ლოჯისტიკური კომპლექსების მოწყობილობები და პროცესების შესრულების ლოჯისტიკური ტექნოლოგიები. სამუშაოთა წარმოების წესები ტერმინალურ კომპლექსებში და ლოჯისტიკურ ცენტრებში.</p> <p>ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტრანსპორტზე სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები ყველა სახის ტრანსპორტზე.</p> <p>საქართველოს ყველა ძირითად სატრანსპორტო ობიექტებზე სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის და ლოჯისტიკურ კომპლექსებში ერთიანი ტექნოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა ინსტრუქციების ძირითადი დებულებები.</p> <p>შრომის დაცვის უსაფრთხოების ტექნიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები.</p> <p><u>მათემატიკიდან</u> - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; ოპერაციათა კვლევის საფუძვლები;</p> <p><u>ტექნიკური მექანიკა</u> - მანქანათა ნაწილებისა და მექანიზმების თეორიის ძირითადი ელემენტები;</p> <p><u>მეწარმეობა</u> - ძირითადი ცნებები მეწარმეობის შესახებ;</p> <p><u>ინფორმატიკა</u> - ინფორმატიკის საფუძვლები და საინფორმაციო ტექნოლოგიები.</p> <p>ლოჯისტიკური მენეჯმენტი - ლოჯისტიკური და სატრანსპორტო მენეჯმენტის საფუძვლები; ძირითადი და დამხმარე ლოჯისტიკური ფუნქციების მენეჯმენტი;</p> <p><u>საავტომობილო ტრანსპორტი</u> - საავტომობილო საწარმოთა მოწყობილობა და მეურნეობა, გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საფუძვლები;</p> <p><u>სარკინიგზო ტრანსპორტი</u> რკინიგზების ზოგადი კურსი, გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;</p> <p><u>საზღვაო ტრანსპორტი</u> - პორტები და საპორტო მეურნეობის მართვა, საზღვაო გადაზიდვების ტექნოლოგიის, ორგანიზაციის და მართვის საფუძვლები.</p> <p><u>საჰაერო ტრანსპორტი</u> - საავიაციო საწარმოთა მოწყობილობა და მართვა;</p> <p><u>სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები</u> - ლოჯისტიკური პროცესების ორგანიზაციის საფუძვლები ტრანსპორტზე.</p> <p><u>საერთაშორისო</u> - საექსპედიციო მომსახურების საფუძვლები სატრანსპორტო გადაზიდვების დოკუმენტალური უზრუნველყოფა, სატრანსპორტო მარკირება, ტარიფები და დაზღვევა.</p> <p><u>აცნობიერებს სატვირთო ლოჯისტიკური პრობლემებს</u> ტრანსპორტზე - სატრანსპორტო - ლოჯისტიკური კომპლექსების ექსპლუატაციის საფუძვლებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>შეუძლია</u> ლოჯისტიკური პრობლემების გადაჭრის, ლოჯისტიკური პროცესების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს ლოჯისტიკური სტრატეგიები წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოთა საფუძველზე.</p> <p>უზრუნველყოს ტერმინალურ კომპლექსებში და ლოჯისტიკურ ცენტრებში ტექნოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება პირადი ბაზაუხისმგებლობის ქვეშ.</p> <p>ამყარებს ოპერატიულ კავშირებს ტვირთგამ-გზავნებთან,</p>

	<p>ტვირთიმდებებთან და ლოჯისტიკურ პარტნიორებთან აწარმოებს ლოჯისტიკურ ცენტრებში მიმდინარე პროცესები და გადაზიდვითი პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას;</p> <p>უზრუნველყოფს ლოჯისტიკურ ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას;</p> <p>ხელმძღვანელობს და აწესრიგებს სატრანსპორტო და ტექნოლოგიური მოწყობილობების პარკის ტექნიკური და კომერციული დათვალიერების ოპერაციების მიმდინარეობას.</p> <p>ხელმძღვანელობს საბაჟო გაწმენდის ტერმინალურ კომპლექსში.</p> <p><u>სატვირთო ლოჯისტიკური სისტემებში</u> - დატვირთვა - განტვირთვისათვის, სასაწყობო და გადატვირთვის სამუშაოებში გამოყენებული ლოჯისტიკური ტექნიკის ექსპლუატაციას;</p> <p><u>სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები</u> - სატვირთო ადგილების ტრანსპორტაბელურობის დადგენა, გადაზიდვის ხარისხის მაჩვენებლებისა და საერთო ლოჯისტიკური დანახარჯების განსაზღვრა;</p> <p><u>საერთაშორისო სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა</u> - საერთაშორისო გადაზიდვების მართვის ლოჯისტიკური უზრუნველყოფა ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტზე.</p> <p><u>შემქნილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება სამუშაო ადგილზე.</u></p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p><u>შეუძლია</u> სპეციფიკური ლოჯისტიკური პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი ოპერატიული სიტუაციის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პრობლემური საკითხის გადაჭრა. მის ხელთ არსებული ტექნიკური აღჭურვილობისა და საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.</p> <p>ასევე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების ჩამოყალიბების საფუძველზე.</p> <p><u>სატრანსპორტო-ლოჯისტიკური პროცესების</u> მართვა შიდა და საერთაშორისო ტრანსპორტზე - შექმნილი ოპერატიული ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება.</p> <p><u>სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები და ლოჯისტიკური ცენტრები.</u> ტერმინალებისა და ლოჯისტიკურ ცენტრებში ტექნოლოგიური პროცესების ოპერატიული ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>აქვს უნარი აწარმოოს</u> ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად საბაზრო და საწარმოო სიტუაციებში.</p> <p>იდეებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციის პროფესიულ დონეზე გადაცემა სპეციალისტებისა და არა სპეციალისტებისათვის. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მათი საერთაშორისო სტანდარტები.</p> <p>შეუძლია უცხო ენაზე მიღებულ პროფესიულთან დაკავშირებულ ინფორმაციის დამუშავება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>აქვს უნარი</u> თავისი პროფესიული განვითარების დონის შეფასება, ცოდნის ამადლების საჭიროების განსაზღვრა. სისტემატურად ეცნობა დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს თანამედროვე პროფესიული გამოცემებისა და ინტერნეტის მეშვეობით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p><u>აქვს</u> პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული ფუნქციების მიმართ, მონდომება, გამწრიახობა, სიფრთხილე პროფესიული ცოდნის დონის გაღრმავების სურვილი, რომელთა შექმნაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოო</p>

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	x	x			x	
ინგლისური ენა	x	x		x		
ინფორმატიკა	x	x		x		
ლოჯისტიკური მენეჯმენტი	x	x	x			
ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები	x	x		x		
საკვთომობილო ტრანსპორტი	x	x				x
სარკინიგზო ტრანსპორტი	x	x		X		x
ლოჯისტიკის საფუძვლები	x	x	x			
სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები	x	x	X			
სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები	x	x		x		
მეწარმეობის საფუძვლები	x	x	x	x		x
საწარმოო პრაქტიკა					x	x

IX. სასწავლო გეგმა

I სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	პრაქტიკული (ლაბორატორიული)	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	2	15/15				8	12	50
ინფორმატიკა	5	30/30				8	57	125
ინგლისური ენა	5	60				8	57	125
ლოჯისტიკის საფუძვლები	7	15		75	75	8	12	175
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები	6	5		75	55	8	7	150
სულ	30	145/75		150	130	48	202	750

II სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	პრაქტიკული (ლაბორატორიული)	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ლოჯისტიკური მენეჯმენტი	6	15		60	60	8	7	150
საავტომობილო ტრანსპორტი	6	15		60	60	8	7	150
სარკინიგზო ტრანსპორტი	6	15		60	60	8	7	150
სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები	6	15		60	60	8	7	150
სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები	6	15		60	60	8	7	150
სულ	30	75/-		300	300	40	35	750

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების ზოგადი წესები:

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია.

XII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ რესურსების შესახებ

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოტზე ან მეხუტე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

თეორიული კომპონენტის პედაგოგები

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	ლ.გიორგაშვილი ს.თოფურია ლ.მძინარიშვილი	დოქტორი დოქტორი დოქტორი
ინგლისური ენა	მ. დევრისაშვილი	მასწავლებელი
ინფორმატიკა	ლ.შავერედაშვილი	მასწავლებელი
ლოჯისტიკის საფუძვლები	ლ. ბოცვაძე	დოქტორი
მეწარმეობის საფუძვლები	ზ.ვაშაკიძე	მასწავლებელი მასწავლებელი
ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები	ლ. ბოცვაძე	დოქტორი
ლოჯისტიკური მენეჯმენტი	ლ. ბოცვაძე	დოქტორი
საავტომობილო ტრანსპორტი	დ. ფრიდონაშვილი	დოქტორი
სარკინიგზო ტრანსპორტი	პ.ქენქაძე	დოქტორი
სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები	ხ. მღებრიშვილი	დოქტორი
სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები	ლ. ბოცვაძე	დოქტორი

პრაქტიკული კომპონენტის პედაგოგები

მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	ლ.გიორგაშვილი ს.თოფურია ლ.მძინარიშვილი	დოქტორი დოქტორი დოქტორი
ინგლისური ენა	მ. დევრისაშვილი	მასწავლებელი
ინფორმატიკა	ლ.შავერედაშვილი	მასწავლებელი
ლოჯისტიკის საფუძვლები	ლ. ბოცვაძე	დოქტორი
მეწარმეობის საფუძვლები	ნ.ბუთხუზი	მასწავლებელი
ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები	ნ. თოფურია	დოქტორი
ლოჯისტიკური მენეჯმენტი	ლ. ბოცვაძე	დოქტორი
საავტომობილო ტრანსპორტი	დ. ფრიდონაშვილი	დოქტორი
სარკინიგზო ტრანსპორტი	პ. ქენქაძე	დოქტორი
სატრანსპორტო ლოჯისტიკის საფუძვლები	ხ. მღებრიშვილი	დოქტორი
სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები	ლ. ბოცვაძე	დოქტორი

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანამშენებლობის ფაკულტეტზე ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული სწავლებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შედგება :

1. სატრანსპორტო და მანქანამშენებლობის ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრი, სტუ-ს I კორპ.
2. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ლაბორატორია, სტუ-ს VII კორპ.
3. სასწავლო პრაქტიკის აუდიტორია. სტუ-ს VII კორპ.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება: საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია -ხელშეკრულება 14. 01 2011წ.

იხ. დანართი

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეხუთე საფეხურის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროგრამაზე.